ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლში. № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

**გაზეთის ფასი:** [illegible] წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible] ასოზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდის

## „დროება"

ღირს ორ მანეთად

**ხელის-მოწერა** შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

## განცხადება

### თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამგებელ კომიტეტისაგან.

1879 წ. იანვარში იხსნება ქ. Თფილისში შკოლა „Თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის", ვაჟების მოსამზადებლად საშუალო სასწავლებელთ (გიმნაზიების) პირველ კლასისათვის.

Ჯერ-ჯერობით შკოლა გამართული იქნება ოცხმოც ვაჟისათვის, რომელთაც შორის ოც-და-ათი შიგ შკოლაში იქნებიან დაბინავებულნი და ორმოც-და-ათი მოსიარულენი. Შიგ მცხოვრებთა შორის ათი იქნება უფულოდ, ე. ი. „საზოგადოების" ხარჯით; თხუთმეტი თავიანთ ხარჯით, რომელთა უნდა შეიტანონ ოცოცი თუმანი წელიწადში; ხუთიც იმისთანა ყმაწვილი, რომელთაც შეუძლიან შეიტანონ ამ ფულის მხოლოდ ნახევარი, ე. ი. ათი თუმანი; მოსვლელ შეგირდებთა შორის თხუთმეტი ისწავლის უფასოდ, ე. ი. „საზოგადოების" ხარჯით, დაიარჩენ ოცდა-თხუთმეტმა ყმაწვილმა უნდა შეიტანოს თითომ წელიწადში სამი თუმანი სწავლის ფული.

Ყველა ეს ფული შეტანილ უნდა იქმნეს ექვს თვეში ერთხელ, წინადვე.

Შკოლაში მიიღება ყველა წოდების ყმაწვილი. „Საზოგადოების" ხარჯით მიღებულ იქნებიან, აცა „საზოგადოების" პირველ მუხლის ძალით, ის ყმაწვილები, რომელთა მშობლები არიან საზოგადოების წევრნი და ცხოვრობენ Თფილისის გარედ. Შკოლაში მიიღება ყმაწვილი შვიდის წლიდამ ვიდრე ათ წლამდე, და იმ განყოფილებაში, რა განყოფილებასაც შეეხება მისი ცოდნი და წლოვანება

Არზა ყმაწვილის მიღების თაობაზე უბრალო ქაღალდზე უნდა იქმნეს დაწერილი გამგებელ კომიტეტის სახელზედ და მიეცეს ან საზოგადოების თავმჯდომარეს ღენ.-ლეიტ. Ქ. Ქ. Მამაცოვს Ძუძიაში, საკუთარს სახლებში, ან სეკრეტარს უ. Ნ. Დ. Ქანანოვს სოლოლაკში, Ძონსულის ქუჩაზე, № 4.

Არზის გარდა უნდა წარმოადგინონ დაბადების და ნათლობის მოწმობაც მოძღვრისაგან.

Ვისაც დაწვრილებით ჰსურს საქმის გამოძიება, შეუძლიან მიმართონ ან „საზოგადოების" თავმჯდომარეს ან სეკრეტარს.

(3—1)

## საქართველო

### დღიური

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ Ბათუმის, Ქობულეთისა და Აჭარის დეპუტაცია გუშინ, ორშაბათს, დილით გამოცხადებია Დ. Მ. Კავკასიის ნამესტნიკს. Ამათ ახლდა Ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი Კომაროვი და Ართვინის მაზრის უფროსი უფ. Მიხ. Მეფისოვი.

Დიდ მთავარს დიდის პატივის-ცემითა და ლმობიერებით მიუღია დეპუტაცია. Თითოეული წევრი უკითხავს:—თუ ვინ არიან, სად, რომელ ომში მიუღიათ ჩინები და ორდენები და როგორ მოსწონთ ახლანდელი რუსის მთავრობა. Შემდეგ ყველასთვის მიუმართავს თავის მოწყალე სიტყვა, რომ სთხოვონ—რაცა აქვთ სათხოვი და, თუ შესაძლებელი იქნება, ავასრულებო. Დეპუტაციას არავითარი განსაკუთრებული თხოვნა არ ჰქონია გამოსაცხადებელი.

Ბოლოს Დიდ მთავარს უთქვამს ამათთვის, რომ იცხოვრეთ კარგათ, მშვიდობით და დარწმუნებული იყავითო, რომ ჩვენს ხელში თქვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება, თქვენს ქონებასა და სარწმუნოებას ჩვენ შევიწყნარებთ და პატივს ვსცემთ ისე, როგორც ყველა სარწმუნოებისაო; ამას გარდა თქვენ გავლენიანი კაცები ხართ თქვენს ქვეყანაში და გთხოვთო, რომ დაეხმაროთ ყველა საჭირო შემთხვევაში თქვენს ადგილობრივ მთავრობასო, და სხვა ამგვარები. Შემდეგ გამოთხოვებია დეპუტაციას და გამოუშვია.

Ყველა წევრები დეპუტაციისა დიდ კმაყოფილებასა და სიამოვნებას აცხადებენ Დიდის მთავრისაგან ამისთანა პატივის-ცემითა და ღირსეულად მიღებაზედ.

*** Აჭარიდამ გვწერენ, რომ ამ ორი კვირის წინათ იქ ვიღაც ავაზაკებს მოუკლავთ ორი გურული; ერთი სალდათის მოკვლაზედაც წინათ იწერებოდნენ. Რასაკვირველია, ეს სამწუხარო ამბავია; მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ამისთანა შემთხვევები, არა თუ Აჭარაში, ჩვენს Თფილისშიაც კი არა-იშვიათად ხდება და ამიტომ მაინც-და-მაინც არ უნდა დავფთხეთ და გავგულისდეთ.

Გაზეთს „Ობზორში" იწერებიან დღეს, რომ ამათი მკვლელი ავაზაკები Ბათუმის ბეგმა Შექან-ოღლიმ წარუდგინა ჩვენს მთავრობასაო.

*** Ქუთაისიდამ იწერებიან გაზ. „Კავკაზში", რომ იქაურ ურიების საზოგადოებას 400 მანეთი შეუწირავს მმართებლობისათვის „თავისუფალ ფლოტის" ხომალდების გასაკეთებლად. Სულ მთელის Ქუთაისის გუბერნიიდამ ამ საგნისათვის შემოსულა—1,817 მან. და 48 კ.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთი დირექტორთაგანი ჩვენი თეატრისა უფ. Ლიმანოვსკი სტოვებს ამ თანამდებობას.

Ამ გარემოებამ მოგვაგონა ჩვენ ერთი ხმა, რომელიც ამას წინათ დადიოდა ქალაქში, რომ თ. Დავით Გ. Ერისთავს აძლევენ თეატრის დირექტორის ალაგსაო. Ძალიან სასიამოვნო იქნება, რომ ეს ხმა გამართლდეს. Მართლაც, ჩვენის ჰაზრით, Თფილისში იქნება სხვას არავის არ ჰქონდეს იმდენი უფლება ამ თანამდებობის დაჭერისა, როგორც თ. Დ. Გ. Ერისთავს. Და ყველაზე უპირველესი უფლება და უპირატესობა იმისი მდგომარეობს იმაში, რომ, ჩვენის ჰაზრით, სცენის საქმე ჩვენში იმასავით ბევრს არ ესმის. Ჯერ თითქმის ნორჩი ყმაწვილი იყო (19 წლისა), როდესაც Ოდესსაში სცენის მოყვარეთა აირჩიეს ის რეჟისსორად და სამი წლის განმავალობაში ღირსეულად ასრულებდა ამ მოვალეობას და მთელი იქაური საზოგადოებისა და თავის ამხანაგების თანაგრძნობა და მადლობა დაიმსახურა. Მას შემდეგაც იმას არ მიუტოვებია სცენის საქმე; იმას

უყვარს სცენა; ამას გარდა იმდენი თავისუფალი დრო და შეძლება აქვს, რომ ის, უეჭველია, თავის კერძო მოგებასა და სარგებლობას არ გამოუდგება, მხოლოთ სცენის წარმატებისათვის იზრუნავს. შთამომავლობითი ნიჭიც აძლევს ამის ნებას...

უქელა ამ მოსაზრებით, ჩვენ ვამტკიცებთ და ვამბობთ, რომ, თუ მართლა უფ. ლიმანოვსკი სტოვებს დირექტორობას, თ. დავით ერისთავი საუკეთესო კანდიდატია ამ თანამდებობისათვის, და ამის გამო ვისურვებთ, რომ იმის ხალისს, ცოდნას და ნიჭს ამ საქმეში ფართო ასპარეზი და მოხმარების საშუალება მისცემოდეს...

*** ამ პარასკევს, 17-ს, ნემეცების კლუბში იქნება ქართული წარმოდგენა. ითამაშებენ: „მე მინდა კნეინა გავხდე“— ზ. ანტონოვის სამ-მოქმედებიან კომედიას და ერთ-მოქმედებიან მოდევილს— „აყალ-მაყალი ცოლ-ქმარს შუა“.

შემოსავალი ამ წარმოდგენისა ქართული სცენის სასარგებლოდ არის დანიშნული.

*** „თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ კავკასიის ამაღლებულ ადგილებზე უკვე დადგა ზამთარიო; სხვათა შორის, თრიალეთის, აჭარის, ოსეთის, დაღესტნის და თუშეთის მთებზე დათოვლაო; ამის გამო მთის გზები გაფუჭდა და იმათზე მოგზაურობა გაძნელდაო. ამავე გაზეთის სიტყვით, ახალქალაქისა და ბორის უეზდის ზოგიერთს ამაღლებულს ალაგებზე ამ თვის 8-სა და 9-ს დაუთოვლია.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

---

ალიბეგლო, 30 ოქტომბერს. ერთს საგარეჯელ საწყალს ბერი-კაცს წაუღია თავის სოფლელებთან ზარდაოს ურემი ქირით სახელმწიფო ფქვილების მოსატანათ. როდესაც დაბრუნებულან ზარდაოდგან და მოსულან სოფელ ჭაფარაბათის ახლო, რომელიც არის ნუხის მაზრაში, გამოუშვიათ ურმებიდგან საქონელი და გაულალიათ საძოვარზედ.

საწყალი კაცის ხარები დაკარგულან ამ დროს და წასულა საძებნელად. თავის ამხანაგებს აღარ მოუცდიათ და ეს ბერი-კაცი დარჩომილა მარტო უცხო ადგილას თავისი ურმით და ულელი კამეჩით. ძებნის დროს წასწყდენია მტერს, ვისაც მოუპარნია ხარები, შეუპყრიათ ეს ბერი-კაცი და ძალიზედ უცემნიათ. ძალიზედ ნაცემი ბერი-კაცი მოსულა თავის ურემთან, შეუბამს ულელი კამეჩი და გამოშურებულა გზას.

მოუხწევნია ალმალოს ხიდზედ (ალაზანზედ) და დაუყენებია ურემი.. დადგომის უმალვე ჩამოვარდნილა ურემ ქვეშ. ეს დაუნახავ ერთ სილნალელ კაცს, რომელსაც უჭერნია თევზი მახლობლათ იმ გზის, გაქცეულა იმისკენ და უკითხნია: „რა გტკივაო?“ იმას უამბნია ის, რაც ზევით მოგახსენეთ, და დასრულების მერე განუტევებია სული... ეს დაწვრილებით გვიამბო იმ მეთევზემ.

ალმალოს ხიდზედ არის დაყენებული რამდენიმე ყარაული, რომლებსაც უცნობებიათ ჭაკის ადგილობრივი ნაჩალნიკისთვის და ამას ებძანებინა: "დადება ურემზედ და თავის ურმით ამოტანა სოფელ ალიბეგლოში.

მართლაც ის ბერი კაცი ამოიტანეს ალიბეგლოში, სადაც მობძანდა ჭაკის ნაჩალნიკი უ. ბოლ—სკი. მან გადმოაღებინა ურმიდგან 70 წლის ბერი-კაცი, რომელიც იყო გახვეული ჭილობში. მუცელზედ და ზურგზედ ძალიზედ ნაცემი იყო და ცემისაგან გაშავებული, ადგილ-ადგილ გალურჯებული და დახეთქილი. ნაჩალნიკმა შეადგინა აქტი და სოფელს უბძანა [illegible]-ლებით ქრისტიანობრივის წესით—და ნამდვილათაც აღასრულა სოფელმა. ურემი ულელის კამეჩით ჩააბარა ნაჩალნიკმა ერთს საიმედო პირს ალიბეგლოელს. უოველმა დამნახავმა შეიბრალა საწყალი ბერი-კაცი და ბევრმაც გადმოყარა ცრემლები.

ამისთანა შემთხვევები: მოკვლა, ცემა, ძარცვა და სხვა ავაზაკობა, უნდა მოგახსენოთ, ძრიელ ხშირათ ხდება ამ ნუხის მაზრაში. რაკი გაზაფხულდება და დაიძვრება ქართველის ურმები ზარდაოსკენ, დაიძვრება ამასთანავე ნუხის ავაზაკებიც და ბევრს აღონებენ გზებზედ. გაზაფხულს აქეთ ჯერ მე ნამდვილად ვიცი, რომ ულელი კამეჩი ერთ ქართველს მოჰპარეს ამ ნუხის მაზრაში, ერთს მკლავი მოაგდებინეს, ერთს ოცი თუმანი ფული წაართვეს და ეს კიდევ მეტი.

რით უნდა აიხსნას სიმრავლე ამოდენა ავაზაკებისა და ამდენი დაღონება ქართველის კაცის? რატომ არ არის ამისთანა შემთხვევები ხშირად ზაქათლის მაზრაში და მის უჩასტკებში?!

მიხ. ხუციშვილი

---

# უცხო ქვეყნები

---

## ინგლისი

გაზეთის „ტაიმსისაგან“ შეკრებილის ცნობებიდამ სჩანს, რომ ინგლისს ჰყავს ამ ჟამად ავგანისტანის წინააღმდეგ საბრძოლველად შემდეგი სამხედრო ძალა: 12,000 ბრიტანიის ქვევითა ჯარი, 21 ათასი ინდოეთის ქვევითა ჯარი, 800 კაცი ცხენოსანი ინგლისელი და 700 ინდოელი ცხენოსანი. ზარბაზნების რიცხვი 102-ია.

---

# მწერლობა

---

**იგავ-არაკნი**, გამოკრებულნი „სიბრძნე-სიცრუიდგან“ და გალექსილნი თ. რაფ. ერისთავის-მიერ. გამოცემული ბრ. ჩარკვიანისაგან. თფილისი, 1878.

—

იგავ-არაკი შაირობის უძნელესი დარგია. უოველ ხალხს შეუძლიან ასობით ჩამოთვალოს თავის მწერლების რიცხვი, მაგრამ ბევრი-ბევრი თუ ერთი ნიჭიერი მოიგავე ჰყვანდეს. იგავ-არაკის სიძნელე იმის კილოზეა დამოკიდებული; იმის ალნაქსი უნდა მარტივი, ანკარა და შემოკლებული იყოს; გამეორება და მრავალ-სიტყვაობა სრულებით არ შეშვენის იგავსა; ამასთან იგავის ყოველი წინადადება საუცხოვოთ უნდა იყოს აგებული, სიტყვა მოსწრებული და ადვილათ დასახსომი, როგორც თვით ანდაზა. მოიგავე პირ-და-პირ უნდა შეუდგებოდეს ხოლმე თავისს საგანსა, მოგვითხრობდეს ამბავსა ცოცხლად და მოკლედ, და არ მოსცდებოდეს გრძელის აღწერით და საუბარით. ამას გარდა მოიგავეს უნდა მუდამ ახსოვდეს, რომ იმის იგავსა ბავშვები გაიზეპირებენ და ამით, გარდა კეთილზნეობისა, სამშობლო ენასაც ისწავლიან; ამისთვის იგავის ენა სამაგალითო ენა უნდა იყოს.

ამ გვარს იგავის მაგალითს წამოგვიდგენს ჩვენი უკვდავი „წიგნი სიბრძნე სიცრუისა.“ გადაშალეთ ეს წიგნი და აიღეთ ერთი იგავი, რომელიც შეგვხვდესთ, ვსთქვათ ეს:

„მეფე იყო ლავდიკისა ცალ თვალი. ჰყვანდა მხატვარი ხელოვანი და მიზეზს ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა, მინდა ჩემი სახე დამიხატო. თქვა გულსა შინა მხატვარმან: აჰ, მოვიდა დღე აღსრულებისა ჩემისაო: თუ ბრმა დავხატო, მომკლავს, ვით მკადრეო; თუმცა ორთვალი, მომკვეთს თავს, როდის არს მსგავსი ჩემიო. მოიპოვა ეს ღონე: დახატა ირემი და მეფეს ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართო მეფეს; ამ საქმით მიზეზი ვერა ჰპოვა და მორჩა მხატვარი იგი“.

ამ იგავში ერთი სიტყვაც არ არის მეტი. ამაზედ მოკლედ თქმა აღარ შეიძლება და ამაზედ გრძლად—საჭირო არ არის. ვნახოთ ახლა თ. რაფ. ერისთავის გალექსილი ესვე იგავი (იხილე 8 გვ.):

მეფე და მხატვარი.

„სუფევდა მეფე, ცოტა მრისხანე
და მარცხენა თვალ ამოშრეტილი,
მიზეზს ეძებდა ერთის მხატვრისას, ჯავრი რომ ჰქონდა გულს შთაბეჭდილი.
იხმო თავისთან იგი მხატვარი, უბრძანა
„კარგათ გადამხატეო...“
მხატვარმა ოხვრით წარმოსთქვა, ჩუმათ: „ბედო, მე რაზედ მილალატეო!...“
შემდეგ იფიქრა: „თუ ბრმა დავხატე,—მომკლამს, მიბრძანებს „ვითა
მკადრეო?....“
თუმცა ორ-თვალი, თავს მომკვეთს, მეტყვის: „მაგვვარი როდის დავიბადეო?..“
შეწუხდა დიდათ, საბრალობელი, ვერარაფრისა იქმნა მომგონე.
ბოლოს ჩაფიქრდა და დიდს

ამ ჯარიდამ უნდა გამოირიცხოს სამიოთხი ათასი კაცი, რომელიც ინგლისს დასჭირდება გზების გასამაგრებელად, სურსათის გასაყოლად, გარნიზონებათ და სხვ. ასე რომ ავგანისტანის წინააღმდეგ იმას შეუძლიან ბრძოლის ველზე გაიყვანოს ამ ჟამად მხოლოდ 30,000 (ოც-და-ათი ათასი) კაცი, ათასამდინ ცხენოსანი და ასამდინ ზარბაზანი.

## ოსმალეთი

სტამბოლელი კორრესპონდენტი ერთის ნემეცურის გაზეთის ამბობს, რომ ოსმალეთი არათუ ჯარების დათხოვნას არა ჰფიქრობს, არამედ მთელი ამ ზამთრის განმავალობაში 400,000 კაცი ეყოლება დაიარაღებული და მუდამ საომროდ დამზადებულიო. ამ ჯარისათვის სურსათს ამზადებენ, ამერიკაში შეუკვეთეს თოფები და სხვა იარაღებიო და სხვ.

— ხალხის აჯანყება მაკედონიაში, თესსალიაში და ეპირში თან-და-თან ვრცელდება და ძლიერდება. ოთხ ადგილას არის თურმე განდგომილების დროებითი სამხედრო მთავრობა დაბინავებული და ყველა განკარგულება ამათგან გამოდისო. თოფ-იარაღი და სურსათი საკმაოდ აქვთო; რამდენიმე ზარბაზანიც კი უშოვნიათო.

ოსმალეთის მთავრობის ჰაზრით, მომეტებული ნაწილი ამ განდგომილებისა მართლა მართლა და ნამდვილი პატრიოტები და ნამდვილი პატრიოტები და თავიანთ ქვეყნის განთავისუფლებისათვის მებრძოლნი როდი არიან; იმათი განზრახვა მხოლოთ ის არისო, რომ ამ საზოგადო არეულობით ისარგებლონ და ქვეყანა სცარცვონ, გლიჯონ დი იავაზაკონო.

ამათ დასამშვიდებლად, როგორც სტამბოლის გაზეთი „ვაკიტ“ გვაცნობებს, სამხედრო სამინისტროს 22 ბატალიონი ჯარი თავის არტილერიით (ზარბაზნებით) გაუგზავნია სტამბოლიდამ მაკედონიისაკენ.

—მედინის (არაბეთის) გუბერნატორს უცნობებია ოსმალეთის მთავრობისათვის რომ არაბეთის ორს უმთავრესს ვილაიეტში—ჰეჯასში და იემენში—ხალხის არეულობა მოხდაო. ზაბის ახლო-მახლო ადგილებში მთელი ხალხი აჯანყებულა; თხოულობენო, რომ ჩვენ ინგლისის გავლენის ქვეშ ყოფნა არ გვინდაო. მედინის ღუბერნატორი თხოულობს, რომ ჯარები გამოუგზავნონ სტამბოლიდამ ამ აჯანყებულების დასამორჩილებელად და წესიერების აღსადგენელად.

—გაზეთი „ვაკიტ“ გვაცნობებს, რომ ოსმალეთის მთავრობამ დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს შეადგინოს იმ რეფორმების (ცვლილებების) პროექტი, რომელიც მთავრობას ჰსურს შემოიღოს ყველა ოსმალეთის პროვინციებში (გარდა აღმოსავლეთ რუმელიისა). ამ კომისიას შეადგენს შვიდი წევრი, რომელთაგან ოთხი მაჰმადიანია და სამი ქრისტიანი; თავსმჯდომარედ კომისიისა დანიშნულია ყარა-თეოდორი-ფაშა.

## წერილი რედაქტორთან

შვალო რედაქტორო!

თქვენ გიკვირსთ, რომ „იგავ-არაკების“ გამომცემლებათ გამოვდივართ მე და უ. ჩარკვიანი, მაშინ როდესაც თქვენ გაგიგონიათ, რომ ეს წიგნი წარმოდგენის შემოსავლიდამ არის გამოცემული.

ახლა ჩვენ მოგახსენებთ რომ მე და ჩარკვიანი დიდი ხანია ვსცდილობდით შეგვეგროვა ფულები, რომ ქართული წიგნები გამოგვეცა და მართლაც 68 მანათი შევაგროვეთ; 25 ენკენისთვის წარმოდგენიდანაც მოგვეცა [illegible] შემწეობა— 96 მანათით და ამ [illegible] გამოვეცით ზევით-მოხსენებული საქართ[illegible] წიგნი.

მართალია ამ წიგნშივე უნდა თქმულიყო,—რა ფულებით არის გამოცემული და ანგარიში, რა დამჯდარა ეს წიგნი, მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა მისი დამახინჯება (?) და ეს ანგარიში სავაზეთოთ იყო მომზადებული.

აი ეს ანგარიში: გამოცემის უფლების შეძენა ავტორისაგან—40 მანეთი, დასაბეჭდი $4^1/_2$ თაბახში—54 მ., ქაღალდი—29 მ. და 53 კაპეიკი; ფერადი ქაღალდი—6 მ. და 25 კაპ., წიგნის შეკვრაში—12 მანეთი და სახვევ ქაღალდის დასაბეჭდავი 3 მანათი ასე, რომ წიგნის გამოცემა სულ—144 მ. და 78 კ. დაგვიჯდა.

რადგანაც მე მებარა სულ 165 მანეთი და რადგანაც ამ ფულიდამ გამოვეცით ზემოთ-მოხსენებული წიგნი, მე დამრჩება 20 მ. და 22 კაპ.

როდესაც ეს გამოცემული წიგნი სულ გაიყიდება, ჩვენ მაშინათვე სხვა ამ გვარს მშვენიერს წიგნს გამოვცემთ.

ვ. ვაჩნაძე

12 ნოემბერს, თფილისი.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვენა, 13 ნოემბერს. ოსმალეთის მთავრობასა და ავსტრიის ელჩს—ზიჩის შუა მოლაპარაკება არის ნოვო-ბაზარის მაზრის დათმობის თაობაზედ. ოსმალეთი დათანხმდა ზიჩის წინადადებებზე მხოლოთ იმ პირობით, რომ ავსტრია გაიყვანს ჯარებს ნოვო-ბაზარის სამი სტრატეგიულის პუნქტიდამ და ამ პუნქტებს ოსმალოს ჯარს დააჭერინებს.

---

ფიქრს შემდეგ, ძლივს მოიგონა
მან ესე ლონე:
დახატა მდგომი (?) ტყეში ირემი, მეფეც თოფ-აწვდილ, სულ-გატრუნული,
სიბრმავეც მას სულ არ ეტყობოდა, რადგანაცა სჩნდა
თვალ დახუჭული!
ნახატი ესე ტურფათ შემკული, დიდის კრძალვითა მიართვა
მეფეს.
და ამ ნაირათ მორჩა მხატვარი, საწყალობელი გადურჩა საფრთხეს.

შეადარეთ ეს ლექსი ზემო-მოყვანილს საბა-ორბელიანის იგავსა და ნახავთ, რომ თ. რაფ. ერისთავის ლექსში ბევრი იმისთანა სიტყვა და წინადადება არის ჩართული, რომელიც სრულებით მეტია. ეს მეტი სიტყვები არც აზრს უმატებენ და არც სურათს აშკარათ გამოხატვენ,— ეს მხოლოდ აზრის გამეორება და გადათქმა არის. პატივცემულმა პოეტმა შაირის უპირველესი წესი დაივიწყა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი.“

რისთვის უმატებს თ. რაფ. ერისთავი: „შეწუხდა დიდათ, საბრალობელი ველარაფრისა იქმნა მომგონე, ბოლოს ჩაფიქრდა და, დიდის ფიქრის შემდეგ, ძლივ მოიგონა მან ესე ლონე?“ ეს სიტყვები სრულებით ეწინააღმდეგებიან იგავის აზრსა. საქმეც ის არის, რომ ეს მხატვარი მარდი და ჭკუა-მახვილი კაცი იყო, მაგისთანა კაცმა „დიდის ფიქრის შემდეგ, ძლივს მოგონება“ არ იცის. საბა ორბელიანს უფრო კარგათ სცოდნია ადამიანის ხასიათი,—იმისი „მხატვარი ხელოვანი ლონეს მოპოებისათვის მაგდენათ ოფლში არ იწურება და თავს არ იტკიებს. ამიტომაც საბა ორბელიანი იტყვის მხოლოდ: „მოიპოვა ეს ლონე.“

იქნება თ. რაფ. ერისთავი ამ მეტს სიტყვებს იმისთვისა ხმარობს, რომ ლექსი სრული გამოვიდესო, მაგრამ განა არ შეეძლო ლექსი შეეცვალა და ან ორი ან სამ გვარი კილო ეხმარა, როგორც „ობოლი და მისი დედის“ იგავში ნახმარი?

აქ ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ზოგჯერ თ. რაფ. ერისთვისაგან ჩართულს ანდაზების და იგავის შუა არავითარი კავშირი არა აქვს, და ერთი მეორისგან სრულებით არ წარმოდინდება, მაგალითად: „ქურდი მკერვალის“ და „მეფე და მისი შვილი“ იგავის ბოლოს მოყვანილი ანდაზები.

გარდა ამგვარ ნაკლულევანებისა თ. რაფ. ერისთავის შრომა დიაღ ჩინებული და ქების ღირსია. იგავ-არაკი კარგის ქართულის ენით არის დაწერილი, ლექსი მშვენიერია და ადვილად დასახსომი, მოთხრობა ცოცხალი და ხელოვნურია. და მადლობელნი უნდა ვიყვეთ პატივცემულის პოეტისა, რომელმაც დააჩუქრა ამ საუცხოვო წიგნით ჩვენი ბავშვები და ამით გაგვიადვილა იმათი ზნეობითი აღრზდა და სამშობლო ენის სწავლება...

ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუხარესტი, 13 ნოემბერს. რუმინიის ჯარები 17 ნოემბერს დაიჭერენ დობრუჯუს.

პეტერბურღის ბირჟა, 14 ნოემბერს.
(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 96—87 |
| მეორესი — — — — | 95—25 |
| მესამესი — — — — | 95—37 |
| მეოთხესი — — — — | 95—37 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92— „ |
| აღმოსავლეთის მეორე— | 91—25 |
| ოქრო, 1/2 იმპერიალი — | 8—38 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 235—5 |
| მეორე სესხის — — — | 228—5 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—40 | პენსი |
| ამსტერდამი— | —118— | „ ცენტი |
| პერლინი— — | —200— | „ პფენიგი |
| პარიჟი — — | —246—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | „— | „ — |

# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მხოლოდ ზ ა ქ ა რ ი ა ბ რ ი ქ უ რ ო ვ ი ს კავკაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

## „სახალხო მეჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები
თ ქ მ უ ლ ი
გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.
ფასი 30 კაპეიკი,
მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შეიძლება ფასის დაკლება.—იქავ ისყიდება აგრეთვე „ანბანი“ ი. გოგებაშვილისა. ფასი 10 კაპ. (5—5)

მომავალ 1879 წლის იანვრიდამ გაზეთის „ივერიის“ მაგივრად გამოვა თფილისში ჟურნალი

## ივერია

შემდეგის პროგრამმით:

I. საქართველოს მატიანე: განხილვა თვე-და-თვე ყოველის გვარის საგნისა, რაც კი შეეხება ჩვენის საზოგადობრივს მომდინარე ცხოვრებას და მთავრობით წარმოებას.

II. საპოლიტიკო მიმოხილვა: განხილვა თვე-და-თვე საზოგადო პოლიტიკისა და აგრეთვე უცხო ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადობრივის მომდინარე ცხოვრებისა.

III. რუსეთის მატიანე: დრო გამოშვებით განხილვა ყოველის გვარის შესანიშნავის საგნისა, რაც კი შეეხება აწინდელ რუსეთის სახელმწიფოის წარმოებას და საზოგადოების ცხოვრებას.

IV. ბელლეტრისტიკა: მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა ამ გვარი.

V. კრიტიკა.

VI. ბიბლიოგრაფიული ცნობები: მოკლე განხილვა შესახებ ახალ წიგნებისა.

VII. ცალკე წერილები: შესახებ ყოველის გვარის მეცნიერებისა და აგრეთვე შესახებ ჩვენისა და უცხო ხალხთა ცხოვრებისა, წარსულისა და აწინდელისა.

VIII. კორრესპონდენციები: შესახებ ჩვენის ქვეყნისა, რუსეთისა და უცხო ქვეყნისა.

„ივერია“ გამოვა თვეში ერთხელ, თვითო წიგნი შეიცავს თორმეტის თაბახის არა ნაკლებ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, „ივერიის“ რედაქციაში, სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, № 4. აგრეთვე გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში, ქაშუეთის ეკკლესიის ქვემოდამ.

თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію журнала „ИВЕРІИ“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ივერიის“ ფასი—წელიწადში: | თფილისში მცხოვრებთათვის . . | 11 მან. | |
| | გარეშე მცხოვრებთათვის . . . . | 12 მან. | |
| ექვსი თვით: | თფილისში მცხოვრებთათვის . . . | 5 და 50 კ. | |
| | გარეშე მცხოვრებთათვის . . . . | 6 და 50 კ. | |

გაზეთი „ივერია დეკემბერში აღარ გამოვა. ხელის მომწერლებს ამ ნომრების მაგივრად დაურიგდებათ იანვარში პირველი წიგნი ჟურნალისა. ამის გამო აწინდელ ხელის მომწერლებთათვის ჟურნალის ფასი 1879 წ. იქნება 11 მან.—გარეშე მცხოვრებთათვის და 10 მან.—თფილისში მცხოვრებთათვის. (3—3)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 5 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამ. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ტელეგრაფი

| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | მან | კაპ. |
|---|---|---|
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დახ. ქაღალდის (ხამი მისხალი) . | 8 |

### მაზანდა

| თფილისი, 13 ნოემბერს. | მან | კაპ |
|---|---|---|
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 50 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევანისა, ფუთი . | 6 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 7 | 30 |
| ბაპენტილი ბ მბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი . . | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | — |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 81 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 80 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 20 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ჩაი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 60 |

### თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., მიუხარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., მიუხარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი- შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 14 Ноября 1878 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.